გეომედი ლაიფი Geomedi Life

№9 (10) 2023 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი

გილოცავთ! გილოცავთ! გილოცავთ!

ქალბატონებო: თანამშრომლებო და სტუდენტებო!

მარტი ქალივით შეუცნობელი თვეა. ალბათ ამიტომაც აღვნიშნავთ 3 მარტს - დედათა და 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეებს. ქალბატონებო, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს, ბედნიერებას, მშვიდობიან გარემოს, გაზაფხულივით აქტიურობას...

საოცარია ალბათ დედობა,
ის დაგავიწყებს ქვეყნად ყველაფერს.
ვერ შეედრება ვერც ერთი გრძნობა,
რაც შეიძლება რომ ქალს გააჩნდეს.
შენეულია შვილის სურნელი და
ვერ შეიგრძნობ შენ სხვას ვერაფერს.
საფიცარია შენთვის სიმშვიდე,
შვილს ჩაძინებულს როცა დაჰყურებ.
აუხსნელია რომ იწყებს სუნთქვას
მისი ამ ქვეყნად მოვლენის შემდეგ.
უტკბილესია ხვდები ცხოვრება
ეს სიყვარული ფიქრობ აღგავსებს.
სასურველია, რომ უფლის მადლი,
პატარას შენსას სულ რომ თან დაჰყვეს.

და შენი ლოცვა მუდამ იცავდეს,
პირველი ცხრა თვე, თუნდაც ბოლომდე.
და მერე როცა ის გაიზარდება,
ცხოვრებას უძლებს, მყარად დგას ფეხზე.
მაშინ მიხვდები, შენც შეიცვალე და
ცდილობ მშვიდად დაუდგე გვერდზე.
გავა ხანიც და შენ მოხუცდები
და უცებ ხედავ, ის ზრუნავს შენზე.
ვედრებ განგებას, რომ გარდაგცვალოს ,
თან წაგიყვანოს შენს შვილზე ადრე.
ღმერთის იქნები შენ მადლობელი,
რომ აღასრულა, ბუნების წესზე.
გარდაიქმნები იქ ანგელოზად,
ციდან ილოცებ მის მომავალზე.

ირინე ბოლქვაძე-ბიბლიოთეკარი



24 მარტს უნივერსიტეტ გეომედში გაიმართა ღია კარის დღე. აბიტურიენტები გაეცნენ უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, სასწავლო პროცესს, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს. მათ საშუალება ჰქონდათ მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია ფაკულტეტების დეკანების, პროგრამების ხელმძღვანელების, კურსდამთავრებულებისა და სტუდენტებისაგან. მათ ასევე დაათვალიერეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და კლინიკები. აბიტურიენტების მიერ დასმულ შეკითხვებს გაეცა ამომწურავი პასუხები.

უნივერსიტეტი გეომედი წარმატებას უსურვებს ყველა აბიტურიენტს და სთავაზობს შემდეგ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს:

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ქართულ და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა
- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
- საბაკალავრო პროგრამა – ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
- საბაკალავრო პროგრამა – ჯანდაცვის ეკონომიკა და მენეჯმენტი
- სამაგისტრო პროგრამა – ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
- სამაგისტრო პროგრამა – ჯანდაცვის მენეჯმენტი.

უნივერსიტეტ გეომედის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამის კურსდამთავრებულებმა, როგორც ყოველთვის, ინდოეთში წარმატებით ჩააბარეს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისთვის სავალდებულო FMGE/MCI გამოცდა. FMGE არის ინდოეთის სამედიცინო საბჭოს საკვალიფიკაციო გამოცდა, რომელიც ყოველწლიურად ტარდება იმ სტუდენტებისათვის, რომლებმაც საზღვარგარეთ მიიღეს განათლება. გამოცდის ჩაბარება მათ უფლებას აძლევს აწარმოონ პროფესიული პრაქტიკა, გაიარონ სტაჟირება და დასაქმდნენ ინდოეთის ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში.

უნივერსიტეტი გეომედი ულოცავს კურსდამთავრებულებს ამ დიდ წარმატებას და უსურვებს წინსვლას პროფესიულ საქმიანობაში.



2023 წლის 3 თებერვალს, უნივერსიტეტ გეომედის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო სემინარი თემაზე “ქართული სამკურნალო მცენარეების ანტიოქსიდანტური პოტენციალის განსაზღვრა და მათი გამოყენების პერსპექტივები ოქსიდაციურ სტრესთან დაკავშირებული პათოლოგიების სამკურნალოდ”.

მომხსენებელი იყო უნივერსიტეტ გეომედის პროფესორი, ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ვალენტინა მიტოვა. მან განიხილა ენდემური მცენარეების ანტიოქსიდანტური პოტენციალის შესწავლა ღვიძლის პათოლოგიის მოდელზე თაგვებში. სემინარის ფარგლებში გაიმართა დისკუსია და განხილული იქნა შესაბამისი ექსპერიმენტების დაგეგმვის სტრატეგიები.

უნივერსიტეტ გეომედის ბიბლიოთეკისა და უნივერსიტეტთან არსებული შემოქმედებითი გაერთიანება ,,გიმნასიონი“-ს თაოსნობით მოწვეულმა საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, ქალბატონმა თამარ ასანიშვილმა უნივერსიტეტ გეომედის საკონფერენციო დარბაზში ჩაატარა საჯარო ლექცია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის, თემაზე: ,,ისტორია იწყება იბერებიდან“. ლექციამ დიდი დაინტერესება გამოიწვია. ქალბატონმა თამარმა მათვის საინტერესო მრავალ კითხვას გასცა პასუხი.

უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: “წინამდებარე ჯირკვლის დაავადებები და სასქესო ორგანოების ანომალიები”. ლექციას უძღვებოდა ქართველი ექიმი უროლოგი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი და პინეო სამედიცინო ეკოსისტემის უროლოგიის სამსახურის ხელმძღვანელი - ბატონი ავთანდილ იმედაძე. ლექციამ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებში დიდი ინტერესი გამოიწვია. დაისვა კითხვები, რომელსაც ამომწურავი პასუხები გაეცა.

2023 წლის 14 თებერვალს ბიბლიოთეკის ინიციატივით ჩატარდა ვებინარი თემაზე “სამეცნიერო და სამედიცინო წყაროების მოძიება EBSCO-ს სრული ტექსტების ბაზაში”. ვებინარზე, რომელსაც უძღვებოდა EBSCO-ს ელექტრონული ბაზების წარმომადგენელი - ირინა სერჟანი, პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე განხილული და ნაჩვენები იყო, თუ როგორ მოვიძიოთ მარტივად საჭირო ინფორმაცია და სამეცნიერო სტატიის სრული ტექსტები სამეცნიერო ბაზების საძიებო სისტემებში. ვებინარი ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი იყო უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

15 თებერვალს იმავე მომხსენებელმა ჩაატარა კიდევ ერთი ვებინარი ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის თემაზე: ,,ელექტრონული ბაზების გამოყენებისა და გავრცელების ხელშეწყობა". აღნიშნულ ონლაინ შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტ გეომედის ბიბლიოთეკის თანამშრომლები.

უნივერსიტეტი გეომედი ასევე ჩართულია ვებინარების ციკლში, რომლის ფარგლებშიც 2 და 7 მარტს გაიმართა ონლაინ ტრენინგები Elsevier-ის წარმომადგენლის თამარ გოგუას მიერ თემებზე: ,,ლიტერატურის ძიება და ავტორის პროფილი Scopus-ში" და ,,ლიტერატურის ძიება ScienceDirect-ში + Mendeley-გზამკვლევი დამწყებთათვის". ტრენერმა განიხილა ბაზებში საფუძვლიანი ძიების გზები და სტრატეგიები, ისაუბრა ბაზების უპირატესობების, Mendeley-ის გამოყენების შესახებ და ა.შ. ვებინარების ბოლოს მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

უნივერსიტეტ გეომედთან არსებული თანამედროვე სტანდარტების ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პერსონალით. ექიმები, რეაბილიტოლოგები, მასაჟისტები ცოდნის გაღრმავებისა და განახლების მიზნით მუდმივად ჩართულნი არიან ტრეინინგ-სისტემაში. ამ მიზნით, კლინიკის თანამშრომლები ჯარჯი ბუზარიაშვილი და ირაკლი შარანგია 28-29 იანვარს დაესწრნენ ტრენინგს, რომელიც ჩატარდა თურქეთში, ქალაქ სტამბულში რეაბილიტაციისა და ფიზიოთერაპიის საერთაშორისო სასწავლო ორგანიზაცია Primephysio-ს მიერ. თეორიულ-პრაქტიკული კლინიკური ტრენინგი გაიმართა თემაზე: “ყველაფერი მუხლის შესახებ”. ტრენინგის შემდეგ მათ გადაეცათ კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა, რომელიც გაეროს ეგიდით 2011 წელს დაწესდა. 2012 წლიდან კი ეს დღე ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. ამ დღეს დაუნის სინდრომის შესახებ ცნობადობის ამაღლებისა და მხარდაჭერის მოპოვების მიზნით იმართება სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები.

დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი კამპანიის სლოგანია „არავინ დატოვო მიღმა“. ეს გზავნილი გულისხმობს სრულფასოვანი ცხოვრების თანაბარ შესაძლებლობას დაუნის სინდრომის მქონე ყველა ადამიანისთვის. მათ შეუძლიათ მიაღწიონ ცხოვრების ოპტიმალურ ხარისხს სამედიცინო ხელშეწყობით, ინკლუზიური განათლების ხელმისაწდომობით, საზოგოებაში მაქსიმალური ჩართულობით და ა.შ.